წელიწადი მე-2 | ტელეფონი № 76. | ოთხშაბათი 27 ივლისი

# სამშობლო

№ 415

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მოთავსებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

25 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება:

**დარბაისელი ქურდი.**

საამდროვო დრამა 5 ნაწილად, ჰუსტავ, სერენ და ოლგა ბენეტის მონაწ.

ჰოლანდიის მხატვრული კუთხეები

სანახაობა.

**ქაჩალებმა დაინიშნეს.** სახუმარო.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 28 ივლისიდან

გამლილ ადგილზე ოსტროვსკის კომედიის მიხედვით ქ-ნ ნილისენკოს, ორლოვის და ბ-ნ ბაკშეევის და პანოვის მონაწილეობით.

**ცნობილი სასიძო.** სახუმარო.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 25 ივლისიდან ახალი პროგრამა

კუნძული იავა და მისი ქალაქები.

სანახაობა.

და ხმალი მისი მზეზე ბრჭყვინავდა დრამა ოთხ ნაწ. კარბანოვის და რიმსკის მონაწილეობით.

**ერთი სანაძლეოს შედეგი.** სახუმარო.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 28 ივლისიდან

უკუ მიმაგდო, გასთელა ვარდი

ძლიერი დრამა 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**ქრონიკა გომონი.** მიმდინარე ამბები.

**უბინაო კაცი.** ორ აზროვანი ფარსი, 2 ნაწილად. საბუროვის თეატრის მსახიობთა ქ-ნ დუნაევის და ბ-ნ ვერნერის მონაწილეობით.

**იძლევა იჯარით** ჩემ მიერ იჯარით აღებული სალორიის აგარაკზე **სახნავი მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

**პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,**

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.
მისამართი: ლვოვზოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**
პრივატდოცენტი
**ვ. პ. მოსეშვილი**
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.
2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი
**აძლევს გაკვეთილებს**
**ფრანგულ ენისას.**
იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში.

**დ. ლაილაში.**

**კბილის ექიმი**

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

**ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**
სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედაქც.

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.
ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე.
აზორინის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი
244 ა. ზ. თელაია. თვ.

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

## გაზ. „სამშობლოს“ რედაქცია და კანტორა გადავიდა იქვე ახლოს, თბილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლებში ფოტოგრაფიის გვერდით.

რედაქცია იწვევს გამოცდილ **ქრონიკერს** (ახალი ამბების შემკრებს) ბეჯითი მოამბე დაიმუშავებს თვეში 60—100 მანეთამდე და მეტსაც.

**იყიდება.**

**დაბა ხონში იყიდება სამოსახლო ადგილი**
სივრცით დაახლოვებით 1500 საჟენი. სემინარიის გვერდით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.
256

სასწავლებლის დახურვის გამო

**იყიდება**

სასკოლო სკამები (პარტები), სკოლის სხვადასხვა მოწყობილებანი და

**საწერი მანქანა**

მსურველს ნახვა და პირობების გაგება შეუძლია თბილისის ქუჩაზე, გიორგი გურგენიძის სახლში.

## მსოფლიო ომი.

### დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**დასავლეთის ასპარეზი**

**პეტროგრადი.** 25 ივლისი. მდ. სტოხოდის მიდამოში მტრის 7 ჰაეროპლანი ყუმბარებს უშენდა სხვადასხვა პუნქტებს. მტრის იერიში ყველგან მოგერებულ იქმნა მდ. ბრაბერკი-სერეტის მიდამოებში წინ მივდივართ და ხელთ ვიგდეთ მტრის მიერ მეტად გამაგრებული სანგრები ზვიჟენუი-ტრისტიანესთან. ამ მიდამოების ტყეებში საქმე ხიშტებამდის მივიდა მტერს კონტრიერიშები მოჰქონდა. ბრძოლა მძიმე პირობებში გვიხდებოდა. მდ. კოროპეცთან და ველესნოვის მიდამოებში მტერმა იერიშები დაიწყო, მაგრამ შევაჩერეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ მდ. ჩორნი-ჩერემკოზე ვოროხტის სამხრეთით გერმანელებმა რომდენიმეთ უკან დასწიეს ჩვენი ცხენოსანი ჯარი.

ბროდის სამხრეთით მდ. გრაბეუკესა და სერეტზე მთელი დღე მკაცრი ბრძოლა იყო მარცხენა ნაპირას მდებარე სოფლის და მაღლობის დასაპყრობად. მტერი წინააღმდეგობას გვიწევდა და კონტრიერიშები მოჰქონდა. სოფლის დაპყრობის დროს ბრძოლა უფრო გამწვავდა, მაგრამ ბოლოს მაინც უკუვაქციეთ მტერი და ავიღეთ სოფლები.

ზვიჟინი, იატაშჩე, ჩისდოპადი, ნენდძიგური, ვნიდავა და ზალოჟცე. ამ ბრძოლაში დავატყვევეთ 95 აფიცერი და 3000 ჯარის კაცი ფორა იარემჩა იაბლონიცას მიდამოებში (მდ. პრუტზე დელატინის სამხრეთით) მტერი წინ მოიწევდა, მაგრამ შეჩერებულ იქმნა.

**კავკასიის ასპარეზი.**

მდ. კიასკიტჩიას მიდამოებში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და ახალი სიმაგრეები დაპყრო. ხელთ იგდეს 4 ტყვიისმფრქვეველი 7 აფიცერი და მათ შორის მე-25-თე პოლკის უფროსი მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ერძიჯანის დასავლეთით ხელთ ვიგდეთ ორი რიგი სანგრებისა 4 აფიცერი 50 ასკერი და 2 ტყვიისმფრქვეველი. ორნუტის დასავლეთით წინ წავიწიეთ რამდენიმე ვერსის მანძილზე და ორი სიმაღლე დავიკავეთ მუშ-ბითლისის მიდამოებში მტრის შემოტევა შეჩერებულ იქმნა.

**შავი ზღვა.**

ქერასუნდთან გავანდგურეთ 42 პატარა ნავი.

22 ივნისს ბათომთან შეუმჩნევიათ მტრის წყალქვეშა ნავი.

ვალჩიკ-ჩიფიკტა ერძინჯანის ხაზზე ჩვენი ჯარი კვლავ წინ მიიწევს. მურადჩაიას ჩრდილოეთით ოსმალები მთელი დღის განმავლობაში სცდილობდნენ წინ წამოწევას. მუშის ბრძოლის ხაზზე ოსმალებმა მკაცრი იერიშები დაიწყო და უკან დავახევინა

ბითლისის მიდამოებში ოსმალებისა და ქურთების რაზმი წინ მოიწევდა მაგრამ ჩვენმა ჯარმა შეაჩერა.

**ლონდონი.** 25 ივლისი. ბრიტანიის მთავარ ბინის ცნობა საფრანგეთიდან. მთელი ღამის განმავლობაში გერმანელები საარტილერიო ცეცხლს აჩაღებდნენ. მდ. ანკრსა და სომის შუა ისინი წინ წაიწიენ. არნასიდან ჩრდილო-სამხრეთით გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს, რომელმაც 14 წამს გასტანა. პოზიერიდან სამხრეთით არტენიუიკის მიმართულებით ფრანგები წინ წავიდნენ. გერმანელებმა იერიში მიიტანეს პენქართან და ფრანგებს უკან დაახევინეს, მაგრამ მალე კონტრ-იერიშით ისევ უკუაგდეს ფრანგებმა. ლოოსთან ფრანგებმა იერიში მიიტანეს გერმანელებზე, აიღეს რამდენიმე სანგარი და გერმანელებიც საგრძნობლად დააზიანეს.

საამირბაროს ცნობით ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ნაღმით ჩაუძირავთ 21 ივლისს ნაღმის ამომკრები „კალეკტონი“, დაღუპულა ორი ინჟინერი, მეხანიკი და დაშავებულა 5 მეზღვაური.

**პარიზი.** 25 ივლისი. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელები 5-დღეა ტიომონის სიმაგრეს ყუმბარებს უშენენ აგრეთვე ბრძოლა სწარმოებს ფლერისა და შაპირშენუას ტყეში. დანარჩენ ადგილას სიწყნარეა იერიშები არც ერთ მხარეს არ მიუჰქონდა. აქა-იქ საარტილერიო ბრძოლაა. ვერდენის მიდამოებში ფრანგების მფრინავებმა ძირს ჩამოაგდეს გერმანელთა ორი ჰაეროპლანი მუაენვილთანესტრისჩრდილოეთით ძირს ჩამოაგდეს კიდევ ერთი აპარატი და დაატყვევეს გერმანელთა ორი მფრინავი.

**ჰავრი.** 24 ივლისი. სტეენსტრატ-გეტსასის მიდამოებში გერმანელები საარტილერიო ცეცხლს აძლიერებდნენ. ბელგიელები ყუმბარებს უშენდნენ გერმანელთა ბატარეიას ტერვატის სამხრეთით.

**რომი.** 25 ივლისი. იტალიის მთავარ ბინის ცნობა. ადიდჟეს ზემო იზონცოს ასპარეზზე ავსტრიელები აუარებელ ყუმბარებს ისვრიან. იტალიელებს იერიშები მიაქვთ ნენს და პაზუბიოსთან. სუმანის ველის ქვევით და ზემო კორდევოსთან ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო: ვონტერიესთან ავსტრიელებმა სამი უნაყოფო იერიში მიიტანეს. კოსტიანის ველზე ან ტარაგეს მიდამოში ავსტრიელებმა 500 ზე მეტი ყუმბარა გაისროლეს, მაგრამ უშედეგოდ აგრეთვე განაახლეს სოფელ. ხიარცოს ყუმბარების დაშენა. იტალიელთ არტილერიამ ავსტრიელნი დააზიანა რაიბლიახთან. ზეებახის ველზე და ქვემო იზონცოზე მკაცრი საარტილერიო სროლა იყო.

22 ივლისს მონფალკოს მიდამოებში ავსტრიელებმა უკან-დაიხიეს და დასტოვეს გამაგრებული სანგრები, სადაც მოშხამული გაზების საწყობებს ჰპოულობენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბუქარესტიდან იტყობინებიან, სერბიელებს ბულგარელებისთვის მეორე ხაზზე დაუხევინებიათ და დიდათ დაუზარალებიათ.

— —

ავსტრიელებს მთელი ჯარი ჩერნოგორიიდან ავსტრიაში გადაუყვანიათ.

— —

ავსტრიელებმა ტრანსილვანიაში დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი.

— —

რუმინიის ოფიციოზი „უნივერსალი“ სწერს, ჩვენ მარტო ავსტრიასთან გვაქვს საქმე, ბულგარეთს ომს არ გამოუცხადებთ და არც გერმანიას, რომელისთვისაც რუ-

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მდ. სტოხოდის აღმოსავლეთით გერმანელთა ჰაეროპლანები დათარეშობენ. სტოხოდზე ზოგ ალაგას გერმანელები წინ მოიწევდენ, მაგრამ რუსებმა შეაჩერეს. მდ. ბრაზერკასა სევრევის მიდამოებში რუსები კვლავ წინ მიიწევენ, გამაგრებულ პოზიციების მთელი რიგი ჩაიგდეს ხელში. ზვიუენუი ტრასტიანეც-რედიუმის მიდამოებში მდგომარეობა გამწვავდა, ნიადაგი დალბა და ჯარს მოძრაობა უძნელდება. მდ. ჩორნი ჩერემოკზე ვოროხტის სამხრეთით ავსტრიელებმა რუსების მოდარაჯე ცხენოსან ჯარს ოდნავ უკან დაახევინეს.

**კავკასიის ასპარეზი.** კასიკით-ჩაის მიდამოებში რუსები კვლავ წინ მიიწევენ და ფრიად გამაგრებული პოზიციები აიღეს, ოსმალთა იერიშები ყველგან მოიგერიეს. ერძიჯანის დასავლეთით რუსებმა ოსმალთა სიმაგრეების ორი ხაზი გაარღვიეს ოგნუტის დასავლეთით რუსებმა რამოდენიმე ვერსით წაიწიეს წინ. მუშ-ბითლისის მიმართულებით ოსმალებმა წინ წამოსვლა იწყეს.

**დასავლეთის ასპარეზი** მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელები გამუდმებით უშენენ ტიომონის ფლერის და შაპიტრ-შენუას სიმაგრეებს. ქვეითა ჯარის ბრძოლა არ ყოფილა. ვერდენის მიდამოებში ფრანგმა მფრინავებმა გერმანელთა ორი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. ბელგიის ჯარის ხაზზე სტელანტრატესა და გეტრასის მიდამოებში გერმანელთა არტილერია მძლავრად მოქმედებს. ბელგიელები მარჯვედ უპასუხებდნენ. ანკრას და სომმის შუა გერმანელები ზარბაზნებს უშენდნენ ინგლისელთა სიმაგრეებსა. პოზიერის აღმოსავლეთით ინგლისელებმა წინ წაიწიეს. ლოოსთან ინგლისელებმა გერმანელები საგრძნობლად დაზიანეს.

**იტალიის ასპარეზი.** საყურადღებო არა მომხდარა რა.

**ინგლისში.**

ომის პირველ ხანებში ნაციონალისტური წრეების მთელი შოვინისტური აგიტაცია ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული. მარა ერთხანს შემდეგ ტონი შეიცვალეს პანგერმანულმა წრეებმა და ინგლისის მაგიერ თავის რისხვას რუსეთს ატეხდენ. ამ ჟამათ კვლავ იფეთქა ანტი-ინგლისურმა მიდრეკილებამ. პანგერმანელები მიტინგებს მართავენ და მოხსენებებს კითხულობენ, საცა გერმანიის უმთავრეს მტრად ინგლისია გამოყვანილი. ინგლისი ან გერმანია. ასეთ ალტერნატივას უყენებენ ისინიხალხი.

— —

ციურიხიდან იტობირებიან ოსმალეთის ერომა ოფიცერმა გაზ. „ფრემდენბლატში“ ცნობა მოათავსა, რომ ოსმალეთის ჯარი, რომელიც ბუკოვინაში და გალიციის ფრონტზე გაიგზავნა, საუკეთესო პოლკებისაგან შესდგებაო. დიდი ნაწილი ამ პოლკების დარდანელთან ინგლისის ჯარის წინააღმდეგ იბრძოდა. ეს ჯარი მანლინხერის სისტემის თოფით არის შეიარაღებული ის აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზანამდის ენვერ ფაშამ დაათვალიერა.

**უცხოეთი.**

მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად ბერძნების მეთერთმეტე დივიზიის უდიდესი ნაწილი სალონიკიდან ლარისში გაიგზავნება.

— —

თითქმის ყველა ნეიტრალურ სახელმწიფოებში შემდგარა საზოგადოება, რომელთაც სურთ ერთმანეთში დამოკიდებულება იქონიონ, რათა ნეიტრალიტეტი არ დაარღვიოს რომელიმე სახელმწიფომ და ამით ზავის ჩამოგდება დააჩქარონ.

— —

ომის დაწყებიდან ორი წლის შესრულების გამო ვილჰელმს გერმანიის ხალხისთვის მანიფესტით მიუმართავთ: ვილჰელმს ჯერ მადლობა გადაუხდია, რომ გერმანელებმა შესძლეს ასეთი ომაგალითო ბრძოლა და შემდეგ უთქვამს, რომ ეხლანდელ გამარჯვებაზე არის დამოკიდებული ყოველი გერმანიის სვე-ბედიო.

— —

ოსმალეთის მთავრობას გადაუწყვეტია ჯარში გაიწვიოს 18 წლის ახალ-გაზრდები.

— —

სად. ბელოოსტოკზე დაატყვევეს 4 ავსტრიელი აფიცერი და ერთიც მათი მსახური. ისინი ყალბი მოწმობებით მოგზაურობდნენ მატარებელში.

# სამხედრო მიმოხილვა.

როგორც წინადაც აღვნიშნეთ გალიციაში რუსების მოქმედების მიზანი ლვოვია.

ავსტრიელებმა თავიდანვე გაუწიეს ამას ანგარიში და მკვიდრად გაამაგრეს ლვოვის შორეული საფარი ხაზი, რომელიც რაძივილოვიდან ტარნაპოლამდე მიდის და მიუხედავად რუსების მედგარი შეტევისა ავსტრიელებმა მაინც შესძლეს ამ ხაზის შენარჩუნება.

რუსებმა შორით დაუწყეს ამ ხაზს შემოვლა, თავის ორივე ფრთების განაპირა ნაწილები უზრუნველ ყვეს და შემდეგ თან და თან დაუახლოვდნენ რაძივილოვ-ტარნოპოლის ხაზს ორივე მხრით.

ჩრდილოეთით ბროდი აიღეს თუ არა სამხრეთ დასავლეთისკენ გაემართნენ და სამხრეთით კი იმავე ხაზის ძემოსავლელად მდ. სერეტის შუა ნაწილში დასავლეთის ნაპირზე გადავიდნენ და შეუტიეს ავსტრიელებს.

ამ ნაირად, რუსებს სწადიათ ზემოხსენებულ მოწყვეტა და ლვოვისკენ გზის გაკაფვა.

შვერელი.

# ვის მივანდოთ

**ქუთაისის საკომერციო სასწავლებელი?**

(შემდეგი. იხ. „სამშობლო“ № 414).

არიან ჩვენში ისეთი „ტიპის“ სასწავლებლებიც, სადაც მთელი ყურადღება მიქცეულია მოსწავლეთა თავისებურ გაწრთვნაზე.

სახელმწიფო სცდილობს აღზარდოს ერთგული ქვეშევრდომნი, ამიტომ მთელი ზრუნვა იმაში გამოიხატება, რომ სკოლა და მასწავლებელ-აღმზრდელთა კრებული, კორპორაცია, დაუმორჩილდეს ბრძანებასა „ზევიდან“. ეს ბრძანება „ზევიდან“ ყველაზე უფრო საჭიროდ ცნობილია ეგრედ წოდებულ „განაპირა“ ქვეყნებსა და უფრო კი „ინოროდცებში“ ე. ი. არა რუსთა სკოლებში.

საქართველოც „ინოროდცებში“ ანუ „ტუზემცების“ რიცხვში ითვლება და, მაშასადამე, მთელი ყურადღება „ზევიდან მბრძანებლებისა“ იქითკენ არის მიქცეული, რომ, რაც შეიძლება სხვა გვარ მომართონ აქაური სასწავლებლები, მოუსპონ მათ ყოველივე თვითმოქმედება, თაოსნობა და გახლართონ იგინი ცირკულიარების ისეთ გრეხილში, რომ მასწავლებლებსაცა და მოწაფეებსაც თავბრუ დაესხათ და თავისებურობისა, მშობლიურის სულის კვეთებისა და მამაშვილური მოპყრობისა აღარა დარჩეთ-რა...

ჩვენ თვითონ ვიზრდებოდით ასეთ სასწავლებელში და ძალიან კარგად გვახსოვს რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა ჩვენს გარშემო, რამდენი შხამი და ნაღველი შეგვისვამს მოწაფეებს [illegible] ლობა ჩაუდენიათ მასწავლებელ-აღმზრდელებს!..

ეს სკოლა კი არა ერთი რაღაც აგურხანა იყო, სადაც უხილავ ცეცხლზე იხრაკებოდა ახალ-თაობის სული და გული, კეთილი განზრახვა, წმინდათა-წმინდა! ეს სასწავლებელი კი არა, ერთი რაღაც „კატორღა“ იყო, სადაც მუნდირებსა, თუ ანაფორებში გამოხვეული „მასწავლებელ აღმზრდელები“ ჯალათებივით დაგვდგომოდენ თავზე და ისე ოსტატურად აფათურებდენ ხელებს ჩვენს სულსა და გულში, ისეთის მოხერხებით სდევნიდენ მოსწავლეთა ყოველგვარ თაოსნობას, რომ ბევრი ჩვენთაგანი იქცა ლეშად, როგორც თვით სასწავლებელსა, ისე ცხოვრებაში. გარდა ამისა, ვინ იცის რამდენი ყმაწვილი დაიღუპა გზა და გზა სწავლის დამთავრებამდე?

მახსოვს, დაბალ მოსამზადებელში (ორი განყოფილება იყო) სამოცდა თვრამეტი თუ ოთხმოცი ყმაწვილი ვიყავით და ოთხი კლასი კი მხოლოდ ხუთმა დავასრულეთ, დანარჩენნი ჩამოვგრჩენ, გამორიცხეს, გაუბედურდენ და, ვინ იცის, სადა ლაფვენ განაწამებს სულსა და სიცოცხლეს!!

რასაკვირველია ახლა ის დრო აღარ არის! გამოიცვალა ცხოვრება, გამოიცვალა „სისტემაც“ სწავლა—აღზრდისა. ჟამთა ვითარებამ და ნამეტნავად რუსეთის დიდმა მოძრაობამ შეანგრია სასწავლებლის დახავსებული კედლებიც და დღეს თითქოს ვეღარ ნახავთ ძველებურ „რეჟიმს“, ძველებურ „მეთოდს“ სასწავლებლისას, მაგრამ მდადე (закваска) — თუ შეიძლება ასეთ ითქვას— უწინდებური დარჩა!

საქმე ის არის, რომ ისინი ვის ხელშიაც არის სასწავლებლების გახსნის საქმე ჩვენ,—ქართველებს—(და სხვა „ინოროდცებსაც“) ისე გვიყურებენ, როგორც დაბალი ხარისხის, უთვითნებო ბალხს; იმათა ჰგონიათ, რომ მხოლოდ და მარტო იმათ შემოიტანეს ჩვენში განათლება, ცივილიზაცია, თორემ მათ მოვლენამდე ჩვენ ველურები, თხები ვიყავით, ყოველივე სიკეთე მხოლოდ იმათგან გვჭირს და, მაშასადამე,—პირველ, ყოვლისა ჩვენ უნდა ვისწავლოთ ის, რასაც ისინი გვიმოძღვრებენ და უნდა გავაკეთოთ ის, რასაც ისინი გვიბრძანებენ! დედა ენაზე აღზრდა ჩვენი მათ მავნებლად მიაჩნიათ და გაგება ჩვენგანვე ჩვენის ვინაობისა, მათ საზარალო ჰგონიათ. ამიტომ დღევანდელ სასწავლებლებშიც უმთავრესი და უაღრესი ყურადღება მიქცეული აქვს უცხო ენის შესწავლას, უცხოთა ცხოვრების გამოკვლევას, უცხო ისტორიის გაზეპირებას, უცხო ფსიხოლოგიის შეთვისებას.

7—8 კლასს დამთავრებული გიმნაზიე-

მინიის გაძლიერება საჭიროა, რადგანაც რუმინია რუსეთის სამხრეთ-დასავლეთით გაფართოებას ეწინააღმდეგებაო.

— —

ბულგარეთ-რუმინიის საზღვარი ოფიციალურად დაკეტილად გამოაცხადეს.

— —

ერთი რუმინელი სამხედრო გაზეთი სწერს, რუმინიამ ომის დასაწყისშივე შესწყვიტა ყოველივე კავშირი ცენტრალურ სახელმწიფოებთან და ამიტომ ისინი უკვე დიდი ხანია მომზადებულნი არიან ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად.

— —

ბულგარეთში ბოლო დროს რუმინელებს ჩხრეკენ და ატუსაღებენ; ერთ ალაგას დაუტუსაღებიათ 200 მაკედონელი რუმინი და შუაგულ ბულგარეთში გაუგზავნიათ. მათ ბრალდებათ რუმინიის სარგებლოდ ჯაშუშობა.

— —

ბერლინის ბირჟაზე რუმინიის სახელმწიფო გირავნობის ქაღალდის ფასი კვლავ აწეულია; გერმანელ ვაჭრებსა და მრეწველებს არა სჯერათ თუ რუმინიასთან გერმანიის ბრძოლა მოუხდება.

ბაზელიდან მოსულ ცნობით ახალგაზრდა ოსმალთა პარტია ორად გაყოფილა, ერთი ნაწილი ენვერ ფაშას მეთაურობით გერმანიას ემხრობა კვლავ, ხოლო მეორე ნაწილი თალაათ ბეის ხელმძღვანელობით ბრძოლას ეწევა ოსმალეთში გერმანელთა გაძლიერების წინააღმდეგ.

გერმანიის ბუჰარესტის ელჩმა ბუშმა თავისი მთავრობის სახელით რუმინიას პროტესტი განუცხადა ავსტრიისა და ბულგარიის საზღვრებზე ჯარის მოგროვების გამო. ჯარის ასეთი მოგროვების გაგრძელებას ხსენებულ სახელმწიფოების საზღვრებზე გერმანია მის აშკარა საწინააღმდეგო მოქმედებათ ჩასთვლისო

— —

ლონდონიდან იტყობინებიან, რომ იქ სადემობილიზაციო კომიტეტმა განსაკუთრებული პროგრამა შეიმუშავა, რომლის მეოხებითაც ომის გათავების შემდეგ ჯარის კაცებს, მატროსებს და დედაკაცებს, რომლებიც სამხედრო ქარხნებში მუშაობენ, შესაფერი სამუშაო გამოუძებნონ. ჯარის კაცთა და მატროსების რიცხვი 4 მილიონს უდრის, ხოლო სამხედრო ქარხნებში მომუშავეთა რიცხვი კი 2 მილიონს.

— —

საბერძნეთის სამხედრო ატაშემ შეთანხმების სახელმწიფოების რწმუნებულებს ოფიციალურით განუცხადა, რომ საბერძნეთში ჯარის დემობილიზაცია დასრულდაო.

— —

„მორნინგ პოსტის“ ცნობით გერმანიის ქარხნებში, საცა სამხედრო მასალები მზადდება, გაფიცვის აგიტაცია თანდათან ფართოვდება. აუარებელი პროკლამაციები ვრცელდება, რომელშიაც ამ ქარხნების მუშებს მუშაობის შეწყვეტისაკენ მოუწოდებენ, რათა საერთო ზავს ნიადაგი მოუმზადდესო. ამის გამო შტუტგარტში და დიუსელდორფში ადმინისტრაციამ აუარებელი ხალხი დააპატიმრა.

— —

# სიმონას ოჯახი.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან).

(დასასრული, იხ. „სამშ № 414.)

დედა ენაცვალოს სოფრომას!.. კი მართალია რიგიანი ქალი დღეს სანთლით საძებარია, მაგრამ ვეცდები რომ მოვნახო სადმე.

— შენ იცი, ანუსია, შენ... სოფრომა კარგი ახალგაზდაა და იმის კარგი ბედნიერება ხომ ოჯახის ბედნიერება იქნება... ვეცადოთ რამეფერად ვიპოვოთ მტრედი. ვერიდოთ ჩხიკვს..

— ბესო, გიორგი, სოფრომა! მოდით, შვილებო, მოდით, სადილი მოგივიდათ ვისადილოთ. ძმებმა ჩეროს მომართეს.

— დედას გაუმარჯოს, დედას!.. შესძახეს მოსვლისათანავე ბედნიერ დედას ბედნიერმა შვილებმა

რა შვები, დედი, რაზედ დაფიქრებულხარ?

— თქვენს შვიდობაზედ, თქვენს კარგათ ყოფნაზედ დაგენაცვლეთ, შვილებო... სხვაზედ რა უნდა ვიფიქრო, შვილებო, რა მაქვს საფიქრალი!.. დასხედით, შვილებო, სადილი მიირთვით

ჩვეულებრივ ხუმრობას, ჩვეულებრივ ტკბილ ბაასს ოჯახურ საქმეების შესახებ აქაც ქონდა ადგილი.

— გახედე, გახედე, დედა-ჩემო, ჩვენ ყანას... რა ყანაა! ღვთის მადლი ტრიალებს შიგ, ღვთის მადლი!..

ბედნიერებაში და სიხარულში მოგახხმაროთ, შვილებო, ღმერთმა ყანაც და ვენახიც. შრომობთ და შრომა თქვენი დაუჯილდოებია უფალს. მართლაც რომ კარგი ყანაა.

— აი რას ნიშნავს, შვილებო, კარგი დამუშავებული ყანა გრძნობით დაიწყო სიმონამ და გარემო ყანებს გადაავლო თვალი.

თქვენს მარჯვენას ვენაცვალე ბიჭებო. ეხლა ჩვენი ყანა და სოლომონასი ერთია? დაუკვირდით მამაშვილობას. ასეა, შვილებო, დროზე გავმარგლეთ, დროზე ვამოროდებთ და რა გასაკვირველია რომ ყანა კარგი იქნეს. ვენაცვალე ღმერთს!.. ამიდმაც ხელი შეგვიწყო წელს, მაგრამ მარტო ამიდი რას იზამს, თუ შენც აზრიანად არ იმუშავებ. სოლომონამ მიწა არ შეხნა, არ დაფარცხა, დათესა უდროოდ, ჯერ როგორც ხედავთ, არ გაუმოროდებია. მუშაობა ყველამ კი არ იცის; ნახევრობა მიწას ტყვილა აცდენს. აბა მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ივანესა და ეფრემას ვენახი ერთნაირად დამუშავებულია? გადახედეთ ივანეს ვენახს... არც აკრული, არც განორჩილი, არც ნააქიმარი, არც რიგიანათ გათოხნილი გაწმენდილი და რაღა გასაკვირველია, რომ ეფრემას ვენახი სჯობდეს, რომელიც ყოველ ნაირად მოვლილი და გაკეთებულია.

მართალია, მართალი, მამაჩემო, მუშაობაზე ყოფილა საქმე.

— ვენაცვალე ღმერთის და თქვენს მარჯვენას, შვილებო, ყველაფერი წელს კარგია ჩვენსა. ამ პრასის თავს მიჩერებიხართ? ვენაცვალე ჩემ რძლებს წელს ხელი არ დაუკლიათ და ძლიერ კარგი ბოსტანი აქვთ, რას ინებებს კაცი რომ შიგ არ იყოს.

— ლობიოს საქმე რავაა წელს, დედაჩემო, დაეკითხა სოფრომამ დედას.

— იმდენს წელიწადს იცოცხლე, შვილო, ნუ გენაღვლება, რამდენი მარცვალი ჩვენ ის გამოფშვენით. ჯერ, შვილო, მესამედიც არ მოგვიხელნია. შვიდობა იქნეს, შვილებო, და წელს ყველაფერი ბევრი იქნება...

ასე ტკბილად, ასე თანაგრძობით ეპყრობოდენ ერთმანეთს შინ და გარეთ სიმონა მწარხვედრაძის ოჯახის წევრები.. მაგრამ „სიკვდილამდის ბედნიერად განა ვისმეს უცხოვრია!''-

II

შემოდგომა საუკეთესო დროა სოფლისათვის თუ წელიწადი კარგი მოსავლიანია. სიმინდით მოყრონჭვილი ნალია-სასიმინდეები, მაჭრით დავსილი ქვევრები ამშვენებს და ახალისებს მშრომელის სახლ-კარს ყველგან ამ დროს მხიარული კიჟინი, სიმღერა, სიცილ-ტკვარცალია გამეფებული. აქ ბავშის ნათვლაა გაჩაღებული, იქ ქორწილი; აქ წირვა, იქ-წვეულება.

რამდენად ღონიერია ოჯახი, იმდენად მეტი საქმე აქვს შემოდგომაზე. რამდენად მეტი მუშა ხელი ყავს ოჯახს, იმდენად ჩქარა და სასურველად ინახავს თავისი ოფლით დამუშავებულ-მოყვანილს სიმინდსა და ღვინოს.

სიმონა მწარხვედრაძის ოჯახი' როგორც მთელ სოფელში ერთი ღონიერი ოჯახთაგანი, რასაკვირველია არ ჩამორჩებოდა დანარჩენებს. ამ ოჯახშიდაც დიდი სიხარული და მოძრაობა იყო. დიდი და პატარა, ქალი და კაცი ერთი მეორეს სტაცებდენ ხელში საქმეს. სიმინდი კიდევაც შეენახათ, ყელამდის მოყრონჭვილი ვებერთელა ნალია ამპარტავნულად გამოიცქირებოდა და პატრონის დაუღალავ მუყაითობაზედ ლაპარაკობდა.

ხუთი ვაჟკაცი ეხლა ჭურისთავზე ტრიალებდა და უხვ ღვინის მოსავალს ჭურებს აბარებდა.

— დაილოცოს, დაილოცოს მაგის მოსავალი! სასულე, კარგი სასულე დაატანე, გიორგი შვილო, თორემ ხომ იცი ეგ ციცქის წვენია, ძალიან გაგიჟება იცის. ჭურს გაგვიტეხს და ორნაირი ზარალი მოგვივა.

აბა, შენ, სოფრომა შვილო, დროა დაიწყო დიდი საწნახლის წურვა; ბესო ჭურის რეცხას საცაა გაათავებს.

— ახლავე, მამილო, ახლავე! მალე გადუწყდა შენს ავის მდომელს მალე მეის მოვსრისო.

— აბა, შვილებო, თქვენი ჭირიმე, მივაბაროთ ქვევრებს, მივაბაროთ. მოვრჩეთ ბარემ და შემდეგ მოუჯექით თქვენ ნაოფლარს და იქეიფეთ რამდენიც მოგესურვოსთ.

— დაზილე, დაზილე შენ ძარღვებს ვენაცვალე, შვილო სოფრომა, გადუშვათ, გადუშვათ ჭურში. ეგ შენი საქორწინე მაჭარია, შვილო, იმისთანა ღვინო დავაყენოთ, რომ სულ ცხვირში ძმარი ვადინოთ შენ მაყრებს. ეგ კრახუნაა, ვენაცვალე მაგის გამჩენს, ძალიანი ღვინო იცის

ამ სასიამოვნო მუშაობაში იყო ჩაფლული სიმონა და მისი შვილები, როცა გაღმა სერიდან სოფლის იასაულის ხმა შემოესმათ.—ივანე, იესე, ლუკა, საჩქაროთ, საჩქაროთ კანცელარიაში გიბარებენ.

— ნეტავი რა ამბავია, დაილაპარაკა ცნობის მოყვარეობით სიმონამ.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს მასაც დაუძახეს.

— იასაულო, ნეტავი რაზე გვიბარებენ?

— კანცელარიაში გაიგებ. მე სალაპარაკოთ არ მცალია, სხვებსაც უნდა გადავძახო საჩქაროთ შენი შვილებით კანცელარიაში გაჩნდი.

სიმონა, მისი ვაჟებით და მთელი საზოგადოების მოხუცი და ახალგაზდა კანცელარიის ეზოში შეგროვილიყვენ.

— ხალხო, ხმამაღლა დაწყო სოფლის მამასახლისმა, სამწუხარო ამბავი მოგვივიდა: ჩვენი ხელმწიფისათვი ომი გამოუცხადებია მტერს ჩვენ ხემწიფესაც მტრისთვის ომი გამოუცხადებია. ყველგან ნასალდათებ ახალგაზდობას კრებენ. ჩვენ კანცელარიასაც მოწერილობა მოუვიდა ამ დილაზე: იჯდეთ ადექითო და იდგეთ არ დაჯდეთო. ხვალ დილით ყველა სალდათობა მოხდილი ახალგაზდა თავისი უსაჭიროესი ბარგი-ბარხანით აქ-კანცელარიაში გამოცხადდება, აქედან კი მაზრის სამართველოსაკენ გავემგზავრებით.. ხომ გაიგონეთ?!. არავინ ჩამორჩეთ, თორემ სასტიკათ დაისჯებით.

ყველას მოხუცს და ახალგაზდას ფერმა გადაკრა და დიდხანს დალაპარაკება ვერ მოეხერხებია...

— —

სოფლის საუკეთესო ნაწილი, ჯანღონით სავსე ახალგაზდობა დაადგა მეორე დილას გზას და მას უკან დაედევნენ დაღვრემილი მშობლები...

ყველანი წარეკეს... დაცარიელდა ოჯახები. სიმონას სამი ვაჟიც-გიორგი, სისო და სოფრომაც მოგლიჯეს, სხვებთან ერთად, ბედნიერ ოჯახს... წაიყვანეს!...

ლი, ან „რეალისტი“ მამაო ჩვენოსავით ჩამოგვითვლით ყოველივე წვრილმანს „ტუნდრების“ მცხოვრებლებისას და სა ქართველოს დედა-ქალაქი-კი რომელია, რიგიანად ვერც კი აგიხსნით. ესევე მოწაფენი უსუნთქებლივ ჩამოგვითვლიან ყველა ქვეყნების გმირებსა თუ ისტორიულ პირებს, ხოლო თავის ქვეყნის წარსულისა კი არა იციან რა.

ესევე მოწაფენი დაწვრილებით აგიხსნიან უცხო ქვეყნების ლიტერატურულ მიმდინარეობას, მაგრამ გვაქვს თუ. არა ჩვენ მწერლობა,—ვერას გეტყვიან. ერთის სიტყვით, რამდენადაც მცოდნენი ვართ სხვისა, იმდენად უმეცარი ვართ ჩვენის ცხოვრებისა; რამდენადაც გვაკვირვებს, გვიზიდავს და თავს გვაყვარებს უცხოთა ცხოვრება, იმდენად უგულებელვყოფთ ჩვენსას და მთელი თაობანი დგებიან გადაგვარებისა და გადაშენების გზაზე!..

ასე იყო წინად, ასეა დღესაც, თუმცა ვიმეორებ, დიდი ცვლილებანი მოხდა სკოლის ცხოვრებაში და ახლა ისე აბუჩად ველარ იგდებენ სხვა და სხვა ერების სულის კვეთებას, რის გამოც რამდენიმე გაკვეთილი დაუთმეს მოსწავლეთა სამშობლო ენასა და ისტორიას, მაგრამ ვაი ამისთანა დათმობას! ჩვენი ყველაფერი მხოლოდ მესამე-ხარისხოვანი ყურადღებისაა და ძალიანაც არ გაიცხელებენ თავს, სულაც რომ არ ისწავლებოდეს!..*)

რაც უნდა „ლიბერალი“ და განათლებული პირნი იყვნენ ამა თუ იმ სასწავლებლის დირექტორ-ინსპექტორ-მასწავლებლები მაინც ზევიდან დაბლა გვიყურებენ ხოლმე და თუ დღეს პირდაპირ ვერა ბედვენ ქართველი მასწავლებლისა და მოწაფის აბუჩად აგდებას ოსტატურად მაინც თავისი გააქვთ და ყოველ ღონესა ღონობენ რომ ქართველი საზოგადოების ხარჯითა და ქართველი კაცის შრომა გარჯით ისე ისაოგებლონ, როგორც თვითონა სურთ და არა ისე, როგორც მოითხოვს კერძოთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საჭიროება.

ასე იქცევიან არა მარტო მთავრობის სკოლებში, ასე იქცევიან ისეთ სასწავლებლებშიაც კი, რომლებიც პირწმინდად ქართველი ხალხის ჯიბით ინახება!..

მოგეხსენებათ, რომ ბატონი თავის ნება და ყმად გადაქცეული ქართველთ მოხელე-მასწავლებლები იმდენად უთვითნებონი გამოდიან, რამდენადაც უფრო მოხერხებით იქცევიანგა „ალიბერალებული“ უცხო. ტომის გამგენი ჩვენის სასწავლებლებისა და სასწავლებლებში დღესაც გამეფებულია ერთგვარი რეჟიმი უფროს უნცროსობისა, „განათლებული“ ბატონყმობა, ხილული თუ უხილავი შენ-ჩემობა, რომელიც მეტად ცუდსა და მავნებელ გავლენას ახდენს მოზარდი თაობის აღზრდა—სწავლაზე!..

მასწავლებელთა კრებული დაყოფილია ჯგუფებად, (მათ შორის ხშირად შავ-რაზმელთა ჯგუფიც არის ხოლმე) ის ჯგუფები ერთმანეთს არ ენდობიან, ზოგიერთები საქმეს ურევენ კიდეც, მლიქვნელობენ, ენას ატარებენ, პოლიტიკას ამუშავებენ, სცდილობენ ერთმანეთს სარმა გამოჰკრან, ერთმა მეორე წააქციოს, ერთმა მეორე არა-კეთილ საიმედოდ გამოიყვანოს და...

უნდა ნახოთ რა მძიმე და არა ადამიანური ატმოსფერა ტრიალებს ხოლმე სამოსწავლებლო ოთახში!..

უფროსი გეზელქორივით იბღვირება და ყველას შიშის ზარსა სცემს, მასწავლებლები წყვილ წყილად დამსხდარან კუთხეში და ჩურჩულებენ. რომელიმე შავ-რაზმელი მასწავლებელი ზიზღით შეჰყურებს არა თავის რჯულის ხალხს, მეათესა და მეთორმეტეს ინდოურივით ჩამოუკიდია ცხვირი და ეტყობა რომ არავითარი მოწოდება, არავითარი ხალისი არა აქვს მასწავლებლობისა, მაგრამ რა ჰქნას რომ ჭამა უნდა, უსამსახუროდ ვერ იცხოვრებს...

ბუზღუნი, ყვედრება, გაუტანლობა, გულ-გრილობა და საძაგელი ფორმალიზმი! აი ატმოსფერა სამასწავლებლო ოთახისა!

ირეკება ზარი. მასწავლებლები ზლაზვნით მიდიან კლასებში, მთქნარებით ხსნიან გაკვეთილს, გაბრაზებით უყურებენ მოწაფეებს და უფრო გაბრაზებით სხავენ „ერთსა“, და „ორებს“ იმაში, რაც არა უსწავლებიათ რა.

მოწაფეები კარგად გრძნობენ ამ არა მშობლიურ მოპყრობას, გრძნობენ უფროსების არა რაობას და თითონაც ათას გვარ ხრიკებს იგონებენ მათ გასაცურებლად და თავის თავის დასაცავად!..

ასე გადიან დღენი და თვენი!. ასე თავდება წელიწადი, რომელსაც მოსდევს ცირკულიარით განსაზღვრული რიცხვი განმეორებითი გამოცდისა, დატოვებულებისა, გადაყვანილებისა...

სიცილი, ტირილი, და მშობელთა გულის ხეთქა, ყვედრება, მუდარა, ხვეწნა...

და სამი თვით წყდება ეს ტრაღი-კომედია, ამიტომ რომ შემოდგომაზე კვლავ მეტის სიძლიერით დაიწყოს იგი!..

განა ასეთ პირობებში შეიძლება აღზრდა მოქალაქისა? განა სასწავლებლებშიც მხოლოდ ფორმალიზმი უნდა იყოს გამეფებული? განა სასწავლებელი საპოლიციო სამმართველოაო? ერთხელ მაინც იკითხონ ჩვენმა მშობლებმა, მაგრამ ამისი თავი ვისა აქვს? ისინიც წელში მოხარა და გააბრუა ჩვენი დუხჭირი ცხოვრების საერთო „ფორმალიზმმა“ და უხილავმა თუ ხილულმა ძალ მომრეობამ!

(დასასრული ხვალ).

მასწავლებელი.

*) ქართველ ხალხს რომ თავისი თავის სიყვარული ჰქონდეს სავსებით უნდა ესარგებლნა 1914 წლის პირველი ივლისის კანონით (სამშობლო ენაზე კერძო სასწავლებლების დაარსება) და მთელი საქართველო მოეფინა ამ ტიპის სახელოსნო და ტეხნიკურ სასწავლებლები, მაგრამ ჩვენ ჯერ იმდენად ჩამორჩენილი ვართ, ასე ვართ შებოჭვილნი თანამედროვე ცხოვრების პირობებით, რომ ისევ „პირველ-დაწყებით უმაღლესა სასწავლებლები“ და გიმნაზია-პროგიმნაზიები გვირჩევნია! ასე დაგვაკნინა და დაგვაწვრილმანა ასი წლის უმოქმედობამ და უცხოთა ხელის შემაყურებლობამ!..

ავტ.

P. S. გუშინდელ წერილში შემდეგი უმთავრესი კორექტურული შეცდომებია: წერილის პირველი სვეტის მეოთხე სტრიქონში ქვევიდან **დაბეჭდილია** „დელეტანტებს“ **უნდა იყოს** „დილეტანტებს“ მესამე სვეტის... მეჩვიდმეტე სტრიქონში, ქვევიდან **დაბეჭდილია** „ჩამომართვათ“, **უნდა იყოს** „ჩამომართვათ“, ამავე სვეტის ოცდამეხუთე სტრიქონში, ზევიდან **დაბეჭდილია** „ფორომა“, **უნდა იყოს** „ფორმა“.

# ვაჟა-ფშაველა.

დღეს ერთი წელიწადი შესრულდა რაც გარდაიცვალა ჩვენი მხცოვანი მგოსანი ვაჟა-ფშაველა. სახელი და ხსოვნა ვაჟა-ფშაველასი, ილია და აკაკისან ერთად ყოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის წმინდათა წმინდას უნდა შეადგენდეს. ეს სამი არსება ხომ ჩაბალახ ახდილ საქართველოს გვირგვინია. სამივეს სატრფო განაწამები საქართველო იყო და სამივე საქართველოს—მწარე სინამდვილეს დასტიროდა.

ვაჟას „დაჭრილი არწივი“

მოდით მკითხველნო—ერთწამს მაინც გავიხსენოთ **ვაჟას დაჭრილი არწივი**, მისი გოდება მასზე და თავი დავდოთ მის განკურნვისათვის

არწივი ვნახე დაჭრილი
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ველარა დგებოდა;
ცალს მხარს მიწაზე მიათრევს,
გულის პირ სისხლი სცხებოდა
ვაჰ დედა თქვენსა ყვავებო,
ცუდ დროს ჩაგიდგავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა.

# ქართული პრესა.

ჩვენი მიმართვის გამო ქართველ გრიგორიანებისადმი, ბ-ნი ივანე გომართელი ჟურნალ „თეატრ და ცხოვრებაში“

სომხებთან კამათს წყლის ნაყვას ეძახის, მაგრამ ჩვენ სავსებით არ შეგვიძლიან მისი აზრის გაზიარება, რადგანაც მისი ზემოდ მოყვანილი წერილი ჩვენი ღია ბარათით არის გამოწვეული და ესეც კი თავისთავად მეტად სასარგებლოდ მიგვაჩნია. აი რასა სწერს:

სომხის ხალხს ღმერთმა კარგი მისცეს; ხოლო საქართველოში პირველ როლს თამაშობს და თავის საკუთარ მიზანს ახორციელებს სომხის ხალხი კი არა, არამედ სომხის მსხვილი ბურჟუაზია. მისი მისწრაფებაა საქართველოს ხელში ჩაგდება, ამ მისწრაფებას ის სისტემატიურად, დაუღალავათ, დიდის მოფიქრებითა და ოსტატობით ახორციელებს.

ქართველი ერი ისპობა; მისი ადგილი უნდა დაიკავოს სომხის ერმა, როგორც ეკონომიურათ უფრო ძლიერმა და უფრო მომზადებულმა,—აი სომხის მსხვილი ბურჟუაზიის ღრმა რწმენა ამ რწმენიდან გამომდინარეობს მისი პოლიტიკაც.

ჩვენ გვინდა წერილებითა და პროტესტებით მას რაღაც შევაგნებინოთ, გზა გამოვაცვლევინოთ.—წყლის ნიყვაა მხოლოდ.

სომხის მსხვილი ბურჟუაზია საქმეს აკეთებს და ძალიან დიდ საქმესაც.

გრიგოლ გველესიანი, ან. წერეთლისა და სხვანი მისთვის საჭირონი არ არიან, მისთვის საჭიროა ის გლეხები, რომლებიც შუაგულ ქართლში ცხოვრობენ და გრიგორიანები არიან, ვუეთ, რომ ისინი ქართველები არიან. სამაგიეროთ სარწმუნოებით ისინი გრიგორიანები არიან და გაუნათლებელი ხალხი—გლეხობა სარწმუნოებასა და ეროვნებას ერთი-მეორისაგან ვერ არჩევს,—სარწმუნოებით გრიგორიანი ან მაჰმადიანი გვარტომობითაც სომეხი ან თათარი ჰგონია.

აი, გლეხობის ასეთი შეუგნებლობა მეტის მეტად ხელსაყრელია სომხის მსხვილი ბურჟუაზიისათვის; თუ მან ჩაუნერგა ის აზრი ქართველ გრიგორიან გლეხებს, რომ ისინი ჩამომავლობითაც სომხები არიან. მაშინ იმის ხელში გადავა მთელი რიგი სოფლებისა შუაგულ ქართლში.

ამ სოფლების აღება სომხის ბურჟუაზიის მიერ ჩვენი დიდი დამარცხება იქნება. სომხის მსხვილი ბურჟუაზია ისეთს სიმაგრეს ჩაიგდებს ხელში შუაგულ ქართლში, როგორსაც ვერავითარი მანთაშოვები ვერ შეიძენდენ თავისი მილიონებით.

რამდენადაც ვიცი გორში არსებობს კომიტეტი, რომლის მიზანიც არის გორის მაზრის გრიგორიანი ქართველები გასომხოს. ეჭვს გარეშეა, ეს კომიტეტი დახმარებასა და დარიგება ინსტრუქციებს თბილისიდან ღებულობს.

რა გააკეთა ამ კომიტეტმა? აი რა?

წინეთ წირვა-ლოცვა ამ სოფლებში უმთავრესად ქართულად სწარმოებდა, დღეს-კი მხოლოდ სომხურათ.

წინეთ ყველა ეს აკოფაშვილები, ტერტერაშვილები, თითულაშვილები, ლოლაძეები გეტყოდენ: ჩვენ ქართველები ვართო, ახლა კი შეგნებულათ ამბობენ: ჩვენ სომხები ვართო, აკოფიანც ტერტერიანც, თათულიანც, ლოლაძიანც და სხვ.

აი რა გააკეთეს სომხის შოვინისტებმა და ჩვენ-კი გვინდა. პროტესტებით და წერილებით დიდი ეროვნული საქმე გავაკეთოთ.

რომ ჩამოვთვალო ყველა ის ფაქტები, რომლებიც მარტო მე ვიცი და რომლებიც ახასიათებენ სომხის შოვინისტების მოღვაწეობას ქართველ გრიგორიანებში, ძალიან შორს წაგვიყვანდა.

დავასახელებ მარტო ერთს.

ქართველი გლეხი მოვიდა ჩემთან ცოლიანად. ახალგაზდანი იყვნენ. კუპრი რომ წაგეცხოთ ორივესთვის, მაინც იცნობდით, რომ ქართველები იყვნენ.

როდესაც ქალს დავეკითხე, რა გვარი ხარ მეთქი, ლოლაძეო, მიპასუხა.

— ლოლაძე-კი არა, ლოლაძიანც, სომხები ვართო,—გაუსწორა ქმარმა.

— ჩემო ძმაო! ლოლაძე და სომეხი ვის გაუგონია, ალბად სარწმუნოება გაქვს სომხისა, ისე კი ქართველი ხარ მეთქი, გავუსწორე მე, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა: არა, ბატონო, ჩვენ სომხები ვართ, ლოლაძიანცით.

ეს ერთი მაგალითიც საკმაოთ ამტკიცებს სომხის ნაციონალისტთა საქმიანობას და ჩვენს დაუდევრობას. ქართველი გლეხი როდესაც იმდენად გადარჯულდება, რომ ლოლაძეს ლოლაძიანცათ გადააკეთებს, მისი გადმორჯულება მეტად დიდ მუშაობას მოითხოვს.

რა უნდა ვქნათ ჩვენ?

მგლის თავზე სახარების კითხვას თავი უნდა დავანებოთ და სომხის ნაციონალისტების საქმიანობას ჩვენც საქმით [illegible]

უნდა დავაარსოთ [illegible] ქართველ გრიგორიანთა სოფლებში [illegible] ქართული წერა კითხვა.

უნდა ვეცადოთ, რომ წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სწარმოებდეს ამ სოფლებში. უნდა ვეცადოთ, რომ ტერტერებათ ქართველი გრიგორიანები იყონ ამ სოფლებში უნდა დაიბეჭდოს პატარა წიგნები ქართველ გრიგორიანების შესახებ, უნდა იყოს ჩამოთვლილი შიგ ანბაზე ყველა ქართველი გრიგორიანების გვარები და ამგვარი წიგნები უფასოდ უნდა რიგდებოდეს დრო და დრო სისტემატიურათ ქართველ გრიგორიანების სოფლებში.

უნდა ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი ქორწინებას ქართველ გრიგორიანთა და ქართველ მართმადიდებელთა შორის. ქართველ გრიგორიანთა ნიჭიერი ყმაწვილები უსასყიდლოთ უნდა აღვზარდოთ ქართულ გიმნაზიაში და სხვ. ყველა ამისათვის ბრძოლა საჭირო და დიდი ბრძოლა, რადგანაც სომხის ნაციონალისტებო ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ რომ ქართველი გრიგორიანები ხელიდან გამოგვგლიჯონ.

ჩვენც ყოველგვარ საშუალებას უნდა მივმართოთ, დავიხმაროთ ყველა ვინც-კი ამ დიდ საქმეში გამოგვადგება და მაშინ და მხოლოდ მაშინ მივაღწევთ მიზანს.

# ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

✦ **დღეს ერთი წელიწადი შესრულდა, რაც გარდაიცვალა საქართველოს მხცოვანი მგოსანი მთის არწივი ვაჟაფშაველა.**

✦ **სახალხო მასწავლებელთა ჯარში გაწვევის შესახებ.** გაზეთ „სამშობლო“-ს 410 ნუმერში მოთავსებული იყო შემდეგი ცნობა, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა მიიღო დეპეშა კავკასიის ოლქის მზრუნველისაგან, რომ ვითომ ის მასწავლებლები, რომლებიც დღეს მსახურებენ, ჯარში არ იქნებიან გაწვეულნი; მხოლოდ 15 აგვისტომდი უნდა აიღონ მოწმობა რაიონების ინსპექტორებისაგან, რომ ისინი მსახურებენ და ასეთი მოწმობები უნდა წარუდგინონ სამხედრო უფროსს. ასეთივე ცნობები მოთავსებულია აგრეთვე „სახალხო ფურცელში“, საქართველოში „ახალ კვალში“ და სხვა გაზეთებშიაც. ამ მოულოდნელმა ამბავმა დიდი ჩოჩქოლი და სიხარული გამოიწვია მასწავლებლებში; ბევრი შეუმოწმებლად ერწმუნა ამ ცნობებს და არხეინად გრძნობს თავს, ბევრი კი სამი ოთხი დღეა დარბის ქუთაისში და ეკითხება ინსპექტორებს, სამხედრო უფროსს, ბევრი მასწავლებელი შეეკითხა ამის შესახებ მასწავლებელთა საზოგადოების გამგეობას, და სკოლა ოჯახი“-ს რედაქციას. ამის გამო 25 ივლის მე და გამგეობის მდივანმა ვინახულეთ პირადათ ქუთაის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი, რომელმაც გადმოგვცა შემდეგი: „დეპეშაში სწერია, 15 აგვისტომდის მასწავლებლებმა უნდა აიღონ მოწმობები იმის შესახებ, რომ ისინი დღეს მსახურებენ მასწავლებლად; ასეთ მოწმობებს მათ მისცემენ რაიონის ინსპექტორები და შემდეგ წარმოუდგენენ დირექტორს შესამოწმებლად დეპეშაში არ არის ნათქვამი, თუ რისთვის არის საჭირო ასეთი მოწმობებიო“. დირექტორს მაშინვე ყველა რაიონის ინსპექტორებისათვის მიუწერია, რომ ეხლავე დაიბარონ მასწავლებლები და მისცენ მათ მოწმობები. სამხედრო უფროსს ამის შესახებ არავითარი ცნობა არა აქვს მოსული.

„სკოლა და ოჯახი“-ს რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თბილისისა და ქუთაისის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს საჩქაროდ გადაგვიბეჭდონ სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ ეს ცნობა.

ჟურნალ „სკოლა და ოჯახი“-ს რედაქტორი ვლ. ნაცვლიშვილი.

# ერის დამოუკიდებლობა.

მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააგდო ომმა პატარა ერების შინაური ცხოვრება. ათას შემავიწროებელ პირობებთან მოუხდა ბრძოლა პატარა სახელმწიფოებს და პირდაპირ აუტანელი გახდა მათი მდგომარეობა, ომის მიერ საერთო სიძვირის შექმნა, საქონლის შემოტან-გატანის სიძნელე და ათასი ხხვა.

ყველა ამას პატარა სახელმწიფოები გაუძლებდნენ, რომ დიდი სახელმწიფოები მათ წმიდათა წმიდას, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, არ შეხებოდნენ.

იგრძნო რა ორივე ჯგუფმა მეომარ სახელმწიფოების შეუძლებლობა მოპირდაპირის ძლევისა, დაიწყო ახალი მოკავშირე-დამხმარის ძიება და, რაკი აღარ იყო არცერთი დიდი სახელმწიფო, რომელიც არ ყოფილიყო ომში ჩაბმული მიმართეს მცირე ქვეყნებს და ათასი ხერხი იხმარეს რათა ისინი მაინც ამოსდგომოდნენ მათ

---

სამხედრო მატარებელმა გააქანა, სხვებთან ერთად, სიმონას სამი შვილი-ეს სამი ბურჯი სიმონას ბედნიერი ოჯახისა...

სამი ძმა მოხვდა ერთსა და იმავე ბრძოლაში. სამი ძმა ესროდა ულმობელ ტყვიას მტერს, რომელსაც ისინი ვერ იცნობდენ. სამი ძმაც, სხვებთან ერთად, იყო გახვეული მტრისაგან გაჩენილ ცეცხლის ალში. ამ ცეცხლმა იმსხვერპლა, სხვა მრავალ ახალგაზდასთან ერთად, გიორგი და სისო. მტრისაგან გამოსროლილმა პირველმა ტყვიამ დაასაფლავა ეს ორი მოსიყვარულე ძმა „საძმო სასაფლაოში“...

მტრის ულმობელმა ტყვიამ არც მესამე ძმას სოფრომს დასწყვიტა გული: ის მძიმედ დაიჭრა.

პირველ ხანებში სიმონა, როგორც სხვა მრავალი მშობელი, გამოურკვეველ მდგომარეობაში დარჩა. ის პირველ ხანებში მაინცადამაინც ძლიერ არ დადარდიანდა, რადგან იმედი ქონდა, რომ ომი ჩქარა გათავდებოდა, მისი შვილები დაბრუნდებოდენ და კვლავ გამხიარულდებოდა მისი დღემდის ბედნიერი ეზოგარემო.

გაიარა ერთმა თვემ, გაიარა მეორემ, გათავდა ნახევარი წელიწადი და სიმონამ შვილების ამბავი ვერაფერი გაიგო. სიმონა დაღონდა, დადარდიანდა.. მოუხშირა კანცელარიაში სიარულს.. ელოდა წერილს საყვარელი შვილებისაგან... ელოდა მოუთმენლად.. ელოდა მთელი არსებით.. ელოდენ წერილს სიმონას ოჯახის წევრები..ელოდენ აღდგომასავით... ელოდენ... და ბოლოს მიიღეს!... და ვაი იმ მიღებას!..

— სიმონა, მიმართა მამასახლისმა კანცელარიაში ახლად მოსულ მოხუცს, მოვიდა, როგორც იქნა, ცნობა შენი შვილების შესახებ, მოვიდა მაგრამ ვაჟკაცურად უნდა შეხვდე, რადგან დღევანდელი უბედურება მარტო შენ თავზე არ არის.

— რაშია საქმე, მამასახლისო, შენი ღვთის მადლისათვის, მითხარი ბარემ. რა ამბავია ჩემ ცოდვილ თავზე?

— ეჰ, რა უნდა გითხრა, შე საწყალო.. ორი შენი-შვილო-სისო და გიორგი, როგორც სჩან მოუკლავთ მტრებს. რაც შეეხება სოფრომს, ის კი დაუჭრიათ ცოცხალი ყოფილა და მისგან ღია წერილიც მოგივიდა.

ტყვიასავით ეცა სიმონას გრძნობიერ გულს ეს მოულოდნელი ამბავი.—ვაი ჩემს მოხუცებულებასო-ამის დაძახება მოასწრო და იქვე ჩაიკეცა.

— ა ნუ გეშინია სიმონა, ვაჟკაცი არა ხარ? მირტო შენ თავზედ ხომ არ არის. აი გაზეთი, აი დაჭრილთა და დახოცილთა სია. აი ჩვენი სოფლის ბიჭები რამდენი მოუკლავთ: სიკოს ბიჭი იუსტინე, ივანეს უმფროსი ვაჟი ანდრია, იაგორას უშანგი, სამსონას მათე, ვინ გინდა ჩვენე ბური ვინც კი წაიყვანეს ან კვდარია და ან დაჭრილი.

— ვაიმე, შვილებო, ჩემი ოჯახის ბურჯებო... სად მყავხართ, შვილებო, ვაი ჩემ მიხედმოხედვას, ვაი ჩემ სიცოცხლეს. რაღა მეშველება... რაღა უთხრა საწყალ ანუსიას, იმ გაჭირვებულს... რა უთხრა რძლებს.. რით ვანუგეშო ობლები... მომკალით აქვე ქრისტეს გულისათვის. მესახლში დაბრუნება აღარ შემიძლია!..

— ნუ გეშინია, შე კაცო, ვაჟკაცი არა ხარ, არ გრცხვენია. შენ თავზე ხომ არ არის მარტო ეს უბედურება.. ანუგეშებდენ მეზობლები უბედურ სიმონას.

ოთხ მეზობელ შუა ჩამდგარი, ცრემლებ გამშრალი სიმონა შევიდა თავის ეზოში. მას წინ მიეგება ანუსია... წინ მიეგებენ რძლები და შვილიშვილები...

შეიქნა საზარელი დაუთავებელი ბღავილი და წივალ კივილი დაიწვა დედის ძუძუები. მოეშხამათ მთელი არსება ქმრის ერთგულ ცოლებს...აწიკდენ ობლები.. ოჯახი შეიმოსა შავებით.. გიმეფდა ოჯახში ბედნიერების ნაცვლად უბედურება, სიხალისეს მაგიერ მოწყენილობა...

——

გაიარა ორმა თვემ ამ უბედური შემთხვევის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი ოჯახი გარდა სიმონას ამხანაგი. არა ერთმა და ორმა მამამ დაიგლიჯა წვერ-ულვაში. არა ერთმა და ორმა დედამ დაიპოტნა ძუძუები.. არა ერთმა და ორმა ახალგაზდამ დასტოვა თავისი სოფელი, მშობლიური ცა, დედ-მამა, ნათესავები...

ხინგრძლივი ტირილით მოიღალა სიმონას ოჯახი. დაწყნარდა.. დაწყნარების მიზეზი, სხვათა შორის, სოფრომიც იყო' რომელიც სამუდამოთ გაენთავისუფლებიათ და დაბრუნებულიყო შინ. კი მართალია სოფრომს ცალი ხელი და ფეხი აღარ ქონდა, კი მართალია ოჯახისათვის ის იყო დღეს ზედმეტი ბარგი, მაგრამ მისმა მოსვლამ მაინც დიდი სიხარული გამოიწვია სიმონას სახლში. დროებით დააყუჩა ამ ოჯახის მწვავე ტკივილები.

— გენაცვალოს დედის ძუძუები, შვილო, ხშირად მიმართავდა ხოლმე ანუსია თავის, ერთ დროს უხინჩო დღეს კი დამახინჯებულ სოფრომს. გენაცვალე, შვილო, ცოხალი მაინც მყავხარ, ცოცხალ მაინც მოგჩერებივარ...

— შვილებო, შვილებო. სად ყრიხართ?.. სადაური მიწა გჭამთ?. ნეტავი მკვდარი მაინც მენახეთ, შვილებო.. ნეტავი თქვენი საფლავი მაინც მქონდეს სანუგეშოდ ახლოს,.

— ეხ, დედა ჩემო, ამ გვარ ყოფნას, რომ არ ვიყო ის არა სჯობს!. მე დღეს ის სოფრომი აღარ ვარ.. მე დღეს ოჯახის ზედმეტი ბარგი ვარ... მუშაობა აღარ შემიძლია, ჩემით ადგომა და დაჯდომა. ვინ შემინახავს. დედიკო, ვინ მომაწვდის ლუკმას!. ვინ დაიმუშავებს ჩვენ მიწებს?.. თქვენ ეხლა თითონ მოსავლელები ხართ. კი მართალია ჯერ კიდევ არა გვიშავს, დედილო, ჯერ კიდევ იმედს ნუ დავკარგავთ სანამ ბესო სახლში გვეგულება.. მაგრამ... ვაი თუ ისიც წაგვართვეს ჩვენ საწყლებს..

გორგი.

მხარეში და მიერივნათ მოპირდაპირისათვის.

ამ მიზნის მისაღწევათ არავითარ საშუალებას არერიდებოდნენ. დაიწყეს ქადაგება, ვითომ ისინი წვრილი ერების განთავისუფლებისთვის იბრძოდნენ, მოისყიდეს პატარა სახელმწიფოების წარჩინებული პირები, პრესა, ხალხი და ჯარის უფროსები, არ იკმარეს ეს და შეისყიდეს პატარა სახელმწიფოს თითქმის მთელი სარჩო საზადებელი, იარაღი და სხვა. ამნაირ პირობებში ჩავარდნილ პატარა სახელმწიფოს აღარავითარი სალსარი დამოუკიდებელ ცხოვრებისა აღარ დარჩა და შემოსული ფული მას ვერაფერს ვერ შველოდა ვინაიდგან წარმოება და მასალა დიდ სახელმწიფოების ხელშია და ისინი იმ შემთხვევაში არიან თანახმა მიაწოდონ ამა თუ იმ პატარა სახელეწიფოს საჭირო იარაღი და მასალა თუ იგი ომში ჩაერევა. აქ იწყება „ვაჭრობა ნეიტრალიტეტით", რომელმაც ომის დასაწყისიდან მოიდგა ფეხი და რომლის საუკეთესო მაგალითსაც იძლევა საბერძნეთის რუმინეთის ბულგარეთის, იტალიის და სხვათა დამოკიდებულება ევროპის ბუმბერაზ სახელმწიფოებთან.

მაგრამ საბერძნეთის და რუმინეთის ენერგიულმა და ნამდვილმა პატრიოტებმა თავიდანვე გადასწყვიტეს რათაც უნდა დაჯდომოდათ მათ შეეკავებინათ თავი, აეტანათ ყოველივე შევიწროება, გაეძლოთ ჭირისთვის, არ ჩაბმულიყვნენ ომში და ამით გადაერჩინათ თავიანთი საყვარელი სამშობლოს დამოუკიდებლობა ხიფათს.

ბრძოლის დაუდეგარი ბედი ხან ერთს მხარეს მეომარ სახელმწიფოებისას შეასხამს ფრთებს და ხან მეორეს და რამდენი მოეჯობინდება რომელიმე მხარის საქმე იმდენი მიიტანს ხოლმე იერიშს ამ ორ პატარა სახელმწიფოზე და აიძულებს ომში ჩარევას.

ამ ჟამად რუმინიაში დიდი ამბები ხდება. მთელი ხალხი ორ ბანაკად გაიყო: ერთი ნაწილი მოკავშირეებს ემხრობა და მეორე გერმანიას, ორივეს უნდა თავისი გაიტანოს. ერთის აღშფოთებას მეორის აღშფოთება სდევს და ყველა კი თხოულობს ომში ჩარევას. დარჩენილა ერთი ჯგუფი მეფისა პირველ მინისტრ ბრატიანოს მეთაურობით, რომელიც კვლავ ძველ გზას ადგია და ომში ჩარევა არ სწადია ანგარებით გატაცებული სხვა და სხვა ჯგუფი ცეცხლზე ხელებს ითბობენ, და ივიწყებენ სამშობლოს ინტერესებს: მათ სრულიად დაჰკარგვიათ გონება და ეწევიან მშობელ ქვეყანას უფსკრულისაკენ.

მართალია, თუ რუმინია ომში ჩაერევა მას კარგ ჯილდოს პირდებიან, მაგრამ განა რაც უნდა დიდი იყოს იგი ჯილდო, აანაზღაურებს იმ გაჭირვებას და უბედურებას, რომელიც ეჭვი არ არის, რუმინელებს თავზე დაატყდებათ, თუ მათი სახელმწიფო ხანგრძლივ ომში ჩაერევა?! ეხლა თუ რუმინეთში ფული მაინც ტრიალებს, მაშინ ეს ფულიც გამოეცლება და დარჩება ძალ-ღონე გამოფიტული. მისი მდგომარეობა უარესი იქნება თუ დიდი სახელმწიფოები შედარებით დიდი ძალღონის და საშუალებათა მქონენი შესძლებენ ომის შემდეგ განახლებას და მოღონიერებას, რუმინეთი ძალთა სიმცირის და სისუსტის გამო, გამარჯვებულიც, რომ დარჩეს, მაინც დასუსტდება, ომის წერა გახდება და გამოეთხოვება დამოუკიდებლობას, ვინაიდგან თანამედროვე ხანაში ომი ძლიერ სუსტს ყლაპავს.

ქ. კობახიძე.

## მგოსნის ვაჟაფშაველას სახელობის სამკითხველოს გარშემო.

კვირას, 24 ივლისს, ქუთაისის ძველი სასაფლაოს მთავარ-ანგელოზის სამრევლო სკოლის სადგომში სამკითხველოს პასუხის მგებელის გამგის ვლ. ნაცვლიშვილის თანადასწრებით მოხდა სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტის წევრთა საგანგებო სხდომა, რომელსაც დაესწრო 11 წევრი; რადგანაც ორი ნაწილი წევრთა გამოცხადდა, ამიტომ კრებამ კანონიერად სცნო სხდომის გახსნა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დეკანოზი ალ. შანიძე მდივნათ ვლ. ნაცვლიშვილი. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1, დარჩეს მზრუნველი კომიტეტის თავმჯდომარეთ ბ-ნი არ. მიქაბერიძე, თუ არჩეულ იქმნას სხვა. 2, სამკითხველო ნაქირავებ ოთახში გაიხსნას, თუ შეძენილ იქნას მზა ხის სახლი ერთი თვის განმავლობაში და საკუთარ სადგომში მოეწყოს სამკითხველო.

პირველ საკითხის შესახებ ყველამ ერთხმად გადაწყვიტა კომიტეტის ახალი თავმჯდომარის არჩევა წევრთა შორის ძველის ალ. მიქაბერიძის მაგიერ, რომელმაც ორ ივლისის კრებაზე ითხოვა ამ თანამდებობიდან განთავისუფლება. კომიტეტის თავმჯდომარეთ კრებამ დაასახელა დეკანოზი მამა შანიძე, რომელიც არჩეულ იქმნა ერთხმად, მის თანაშემწეთ კი თეოფანე ბახტაძე. ამასთანავე კრებამ დაადგინა მადლობა გამოეცხადოს ყოფილ თავმჯდომარეს არჩ. მიქაბერიძეს, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში შეძლებისადაგვარათ შრომა გასწია და იმსახურა.

მეორე საკითხის შესახებ თავჯდომარემ დასვა კითხვა, გვაქვს უფლება თუ არა, რომ დღეს დღეობით ავაგოთ სამკითხველოსთვის ხის სახლი.

კრება თანახმა გახდა ხის სახლის შეძენისა პლანისამებრ, აირჩია ექვსი კაცისაგან კომისია, რომელშიაც შედიან თ ბახტაძე, ი. ჭითავა, პ. კოსტავა, ვ. თევდორაძე, ვ. შავგულიძე და დ. ვარდოსანიძე: ამ კომისიას დაევალა ერთი კვირის განმავლობაში მოძებნოს საყიდლად შესაფერისი ორ ოთახიანი სახლი, გაზომოს, ფასი გაიგოს და მოახსენოს კომიტეტს კვირას 31 ივლისს. მოტანილი მასალის სილა და კირის დამუშავება დაევალა ი. ჭითავას და ვ. თევდორაძეს. ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია, რომელშიაც შედიან დ. ვარდოსანიძე და პ. კოსტავა.

ამასთანავე კრებამ დაადგინა გამოეცხადოს პრესის საშუალებით ყოფილ თავმჯდომარეს ბ. არჩილ მიქაბერიძეს, რომელიც სხდომას ოჯახური მიზეზებისა გამო არ დასწრებია, ერთი კვირის განმავლობაში გადასცეს ახალ თავმჯდომარეს მამა ალექსანდრე შანიძეს. სამკითხველოს დავთრები, საბუთები, წიგნაკები, ბეჭდები და ყოველივე ანგარიშები. დუქნის პატრონს ლევან რუხაძეს ეთხოვოს დაუბრუნოს კომიტეტს ის ერთი თუმანი, რომელიც ზეთ მიეცა მას, უკეთუ სამკითხველო გაიხსნებოდა იმის დუქანში, ამ ოქმის ანგარიში დაიბეჭდოს გაზ. „მეგობარსა" და „სამშობლოშიც" სამკითხველოს დამაარსებელ წევრთა საყურადღებოთ.

კომიტეტის მონდობილობით
ლადო ბზვანელი.

## პროვინციის ცხოვრება.

**დ. საჩხერე.**

— საჩხერის რაიონში ამ ბოლო ხანებში ყაჩაღობამ იჩინა თავი. იშვიათი არის ისეთი დღე, რომ ამათუ იმ სოფლიდან არ მოვიდეს ამბავი რომ ყაჩაღებმა აქ და აქ ცარცვა-გლეჯა მოახდინესო უფრო მეტათ კი გავრცელდა ყაჩაღობა საჩხერედან ოსეთის აბანოებისკენ მიმავალ გზებზე.. ხალხი აქაურ ყაჩაღებით ისე დაფრთხა, რომ ავადმყოფებს ველარ გზავნიან ოსეთის სამკურნალო წყლებზე. ეხლა საჩხერის ადმინისტრაციამ ზომები მიღო თვით ოსეთის გზაზე მდებარე სოფლების მცხოვრებლებს ევალებათ დაიცვან მგზავრები ყაჩაღებისგან. ამ ზომამ ვითომც შედეგი გამოიღო და ეხლა შეშინებული ხალხი კვლავ მიდის ოსეთის წყლებზე

— 23 ივლისს აქაურ თეატრში ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა დასდგეს დ. აბდუშელის მონაწილეობით პიესა ზღვასთან"

— ბოლო დროს საერთოდ კვლავ გვალვა გრძელდება თუმცა 19 ივლისიდან დაწყებული ხანდახან წვიმს მაგრამ ისე წვიმს რომ ჭირნახულს უფრო ახდენს. წვიმას სიცხე პაპანაქება მოჰყვება ხოლმე და დასველებულ ჭირნახულს სწვამს. სოფლელები იძახიან:-ნახევარი მოსავალი რომ მოვიდეს მაინც კარგიაო.

— მდ. ყვირილამ, ერთობ დაიკლო.

— საჩხერის კოოპერატივს მოუვიდა ფხვნილი შაქარი და გირვანქა 25-კ. იყიდება.

— ფასის მომატების და ცუდი ღირსების სანოვაგის გაყიდვისათვის დაპატიმრებული არიან რამდენიმე საჩხერის ვაჭარი.

— ვაჭრებმა ზოგიერთ საქონელს ფასი დაუკლეს, ეს ზომა გამოწვეულა იმითი რომ ხმა გავრცელდა საჩხერის ქალებს უნდათ „პოგრომი" მოაწყონო.

— შემოტანილი სიმინდი ეხლა უკვე აღარ იშოვება ბაზარში სოფლის სიმინდმა კვლავ აიწია ფასი. საშუალოთ სოფლის სიმინდი ღირს კოდი (ჩვენებური კოდი 2 ფუთია) 8 მანეთი.

— სიმინდის მოსავალი წლეულ ძალიან ცუდი იქნება

— გვალვისაგან გაფუჭება ეხლა ვენახსაც დაეტყო.

— სასოფლო-სამეურნო აღწერა საჩხერის რაიონში დასრულდა. ხალხი მას ნდობით უკვე ეკიდებოდა

— ფერისცვალება საჩხერლებისათვის სადღესასწაულო დღეა, მაგრამ როგორც გავიგეთ წრეულ საჩხერე არ იდღესასწაულებს.

—

**ს. უკანეთი.** 24 ივლისს, უკანეთის მაცხოვრის ეკლესიაში, საქართველოს გულწრფელი მამულიშვილის—ალექსანდრეს ყიფშიძის გარდაცვალების მეორმოცე დღეს—მის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადავიხადეთ. თუ ვიგულისხმებთ დღევანდელ ჩვენს სოფლის ვითარებას, ხალხი ბევრი დაესწრო. წირვის გათავების შემდეგ მღ. მიხეილ ბუაჩიძემ შემდეგი მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას:

„სიტყვით ჩვენში ყველა ხალხის მოამაგეობასა და ჭირისუფლობას ჩემულობს, მაგრამ, როგორც სინამდვილე და ცხოვრების გამოცდილება გვარწმუნებს, ქართველი ხალხის გულწრფელი და უანგარო მოამაგენი და ერთგული ჭირისუფალნი მხოლოდ ის რჩეული ადამიანები არიან, რომლებიც ჩვენი ერის გალამაზებისა და გაშალაშინებისათვის იღწვიან და ამ ენაზე ლიტერატურას ქმნიან.

სამწუხაროდ ჩვენი ხალხისათვის ასეთი სულიერი საზრდოს მიმწოდებელი, მისი გამათვითცნობიერებელი, გონებრივად ამამაღლებელი და ჩვენი ლიტერატურის დამამშვენებელი და სულის ჩამდგმელი ქართველი ადამიანები თანდათან ხელიდან გვეცლება.

ოხერმა სიკვდილმა ეს მეორე წელიწადია ჩვენზე მოიცალა. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები ერთიერთმანეთზე გვეცლებიან ხელიდან. აი, ამ ორმოცი დღის წინეთ, საქართველომ დაკარგა ერთი თავის სულითა და გულით მოყვარული ადამიანი—ალექსანდრე ყიფშიძე, რომელიც ერთგული დარაჯი იყო განსაკუთრებით, ქართველი გლეხ-კაცის ინტერესებისა, თავის სიცოცხლეში ბევრი შრომა და ენერგია გასწია მან, რომ ჩვენი ქვეყნის თავისუფალი მიწა-წყალი უცხოელებს არ ჩავარდნოდა ხელში და ჩვენი გლეხების საკუთრება გამხდარიყო. ქართლში, ფრონის ხეობის გლეხობა, თვალდათვალ არის ამაში დარწმუნებული და ალექსანდრე ყიფშიძისაგან გაწეულ ამაგს დიდათაც აფასებენ. დანარჩენი მისი მოღვაწეობიდან მე დღეს, მეორმოცე დღეს მისი გარდაცვალებიდან, იმას აღარ განვიმეორებთ რაც ამავე ადგილიდან მისი გარდაცვალების მეცხრე დღეს გიამბეთ, მხოლოდ დაარწმუნეთ თქვენი თავი იმაში, რომ ალექსანდრე ყიფშიძეს მთელი საქართველოს გლეხობა ერთნაირად უყვარდა და ყველას ერთნაირად შველოდა და ეხმარებოდა. ამისათვის დასავლეთ საქართველოს გლეხობა ვალდებულია ისეთივე სიყვარულით მოიგონებდეს მას, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობა იგონებს. ამ ჟამად ჩვენ მიერ მისი მოგონება და გახსენება გამოვხატოთ იმაში, რომ შევევედროთ უფალს მის სპეტაკ სულს იქ მისცეს განსვენება, სადაც საქართველოს მოყვარული და მოსარჩლე თავდადებული ადამიანები განისვენებენ".

დროებით უკანეთელი.

## პასუხი

**კაცხის საქალო სასწ. მასწავ. ქ-ნ გალინა ქოჩიაშვილს.**

თქვენი საპასუხო წერილის მუხლობრივ განხილვას მე აქ არ შევუდგები, რადგან ჩვენი პოლემიკა უმედიატოროთ საქმის სინამდვილეს ვერ ჰფენს ნათელს; ამისათვის წინადადებას გაძლევთ გამოვყვეთ სამედიატორო სასამართლოში, სადაც ვალათ ვიდებ დავამტკიცოთ ყოველივე ის, რაც ჩემ წერილშია მოთავსებული თქვენს წინააღმდეგ და ფრჩხილებიც გაგიხსნათ შემდეგი პირობებში: 1) მედიატორეთა განაჩენი გამოცხადდეს გაზ. „ახალ კვალში" და „სამშობლოში". 2) ვინც გამტყუნდეს მან გადაიხადოს არა ნაკლები 25 მ. და თუ თქვენ ისურვებთ მეტიც, კაცხის მომავალ წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოთ. 3) ფული წინდაწინ უნდა გადაეცეს წ. კ. გ. ს. შიათურის განყ. გამგეობის თავჯდომარეს ბ ნ სიმონ დ. ჯაფარიძეს. 4) საქმე უნდა გაირჩეს სოფ. კაცხში

მედიატორებს დავასახელებთ თქვენგან თანხმობის გამოცხადების შემდეგ

პასუხისთვის ვადას გაძლევთ ერთ კვირას დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.

ი. ღვანიძე

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

დ. აბაშის ვაჭარმა ბათუ ქოიავამ თავის საყვარელი ვაჟის შოთას გარდაცვალების ხსოვნის აღსანიშნავათ კვითანის სავაჟო სკოლას შემოსწირა 18 მან., რისთვისაც ხსენებულ სკოლის მედგ. საბჭო უღრმეს მადლობას სწირავს.

ზედამხედველი ვ. ქობულია.

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულათ უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> liedesgaden für die. Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensiguenstrasse № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banbue populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროსაგან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> suisse. recommandée Comite internasional de Ia Croix rouge
> Agence des prisonniers be guerre
> Genéve.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

| | | | |
|---|---|---|---|
| **ქ. ქუთაისს მოდის.** | | | |
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. | 25 წ. |
| „ | — სალამ. | — 8 ს. | 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. | 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. | 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. | 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. | 50 „ |
| „ | — „ | — 9 ს. | 04 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. | 24 „ |
| **ქ. ქუთაისიდან გადის.** | | | |
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. | — „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. | 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. | 3 „ |
| | — დილის | — 5 ს. | 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. | 13 „ |
| „ | — დღით | — 3 ს, | 14 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — .5 ს. | 20 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში": ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი"**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას; რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ერთგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

ეროვნული ბიბლიოთეკა